ფასი 10 კაპ.



ბურუმის კასის მიკროსკოპიული გამოკვლევა.

5680

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ... ბიბლიოთეკა

სულიკო.

(ეკაკის მიბაძვა)

სევდის ღრუბელი მომაწვა
სიცოცხლე ჩემი კრულ იყო,
შევსძახე ტკბილსა „იუმორს“:
„სადა ხარ ჩემო სულიკო?“

„ეკალში“ ყვავი შევნიშნე
საწყლათ რომ მოკუნტულიყო...
მივეხმატკბილე ყვანჩალას
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?.

მოვსტყუვდი...მისი ნათქვამი
ნეტამც სულ არა თქმულიყო!
გლოვის ხმით თავზე დამჩხავლა:
„ლექციებს ვწერამ სულიკო“...

თვალი ვარიდე ყვანჩალას
სევდა არ გადასულიყო,
კვალად შევნიშნე „ეკალში“
ბეკეკა გახლართულიყო...

მიველ და ვსთხოვე უმანკოს
ტკბილ ხმაზე მომართულიყო;
ვკითხე: „თუ ქმუნვის მალამო
შენ ხომ არა ხარ სულიკო?“

ზურგი მაქცია ცხოველმა
სახეზე დამანჭულიყო,
კვალად დაიწყო სიმღერა
რაც მისგან ბევრჯელ თქმულიყო.

არ მეუცხოვა ეს „ჰანგი“
რადგან მას დაჩვეულიყო,
და თანაც ჩვენი ბეკეკა
არც თუ ჭკუაზე სრულიყო.

გავშორდი იმა ბუჩქნარსა
,,ეკლათ'' რომ ამოსულიყო.
კვლავ სევდამ დამიჯაბნია
სიცოცხლე ჩემი კრულ იყო.

ეშმაკი.

მათრახის კუდი.

„ეშმაკის მათრახი“ ჩვენ მეორე ნომერშივე გავაცანით მკითხველ საზოგადოებას და ვაუწყეთ მისი ვითარება. ის არც თუ ისე საშიშია, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. თუ გახსოვთ ისიც ვსთხოვეთ საზოგადოებას, რომ ძალათ არავინ გაჰკროდა მას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სინანული გვიანი-ღა იქნებოდა, მაგრამ

ამაო დარჩა ჩვენი
თხოვნა ჩვენი ვედრება,
და ვნახოთ ახლა მისი კუდი
ვის გაეკვრება.

* * *

ევგენი დვალი. ქართველი მკითხველი ჯერ კარგათ ვერ იცნობს ამ ახლად მოვლენილ მგოსანს და რომ შესაძლებელი იყოს უმჯობესი იქნება მისი სრულიად არ ცნობა. ეს კი შეუძლებელია, რადგან ევგენი დვალი ამბობს:

„სანამ ცოცხალ ვარ ქვეყნადა
არ ჩავიმენდავ ენასა...“

მისი ენა, რაღა თქმა უნდა მისი ნებაა და გადაწყვეტილებაც, როგორც ხედავთ, ისეთი გამოუტანია, რომ სიცოცხლეში არ ჩაიწყვიტოს ის.

საზოგადოთ გამოკვლეულია, რომ ენის მოძრაობას კავშირი აქვს აზრთა მოძრაობასთან და თუ შეხვთებით სადმე ენის დამოუკიდებელს, ანუ გონებისაგან ავტონომიურ მოქმედებას, როგორც მაგალითად სათავად-აზნაურო სკოლის ზოგიერთ კრებებზე ხდება, ეს გამონაკლია.

ცხადზე უცხადესია ბ-ნი დვალი უმეტეს ნაწილათ მარტო ენას ამოძრავებს თვინიერ ტვინის თუ აზრის მოძრაობისა; და ამ პირობებში დაუწერია მას თავისი შესანიშნავი ,,სიმღერები'', რომლებსაც სათაურათ „წკეპელი“ აწერია.

ევგენის სიმღერები, რასაკვირველია — პოეტურათ, ანუ ლექსურათ არის დაწერილი და ისეთაც უბადრუკი აზრები რიფმების ძებნაში სულ მთლათ დაუმახინჯებია.

პირველი სიმღერა თავადს ეხება. ჯერ თავადები თურმე კარგს ყოფაში ყოფილან,

„შგრამ დრო გადუტრიალდათ:
ჩამოერთვათ მსახურები
და ჩამოვარეს ამაზედ
საზიგანდოთ მათ ეურები,''

,,ვაი ბატონს, ვეი ბატონს
ჩავეხეტე მათ ქალბატონს
ახლა კმარა რაც რომა ვოქვი
ცეხეში ორვინ ჩამაგდოს!!!

თქვენ რა აზრისა ხართ მკითხველო არ ვიცი და ჩემი აზრით ამ ,,პოეზიის'' ავტორს დიახაც რომ ეკადრება ერთი მაგარი მათრახის კუდი. რაკი ,,ცეხეში არავინ ჩააგდებს,'' ევგენი დვალს ყველაფერი სისულელე მისტეევებელი ჰგონია. ალბათ ასეა ცეხის შიშისაგან დაბნელებული აზრი რომ თავს აიწყვეტს.

მეორე სიმღერას ჩვენი „პოეტი“ მღვდლებს უძღვნის და რასაკვირველია აქაც ჩვეულებრივ ურცხვობას არ ერიდება.

,'სოფლელმა ძველთაგანა
წინ რომ შეეხვდეთ დიდათ მდვდელი
გრძელ-კაბა და წვერ ცანცარა
მატეუარა უშრომელი!
თუ რომ გსურთ არ დაინმსოთ
იმაზე წაიგლეთ ხელი“ და სხ.

ახლა გეკითხებით მე თქვენ: როგორ გგონიათ ეს ახალი ქართველი მგოსანი შეიძლება მოთავსდეს „სამყაროში?“ ჩვენის აზრით არა და არა. ის არ შეიძლება ვისმე ეკუთნოდეს. პირ იქით ის იმ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთა აზრით „მთვარეს გამბურგში აკეთებდენ“ და „ადამიანები ცხვირებით ფიქრობს.

* * *

ეშაკებს. გეუცხოებათ, რომ მგოსნის შემდეგ მათრახის კუდი „ეშაკებისაკენ“ გადავიქნიეთ, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის, ვინაიდან „ნიშადურის“ რედაქციამ აშკარათ მისაყვედურა მათი ეგრე მივიწყება. ღმერთი რჯული, მე ოდნავაც არ დამვიწყებია ღირსეული კრებული და შეძლებისამებრ მათზედაც ხშირათ გაინავარდებს ჩვენი მათრახის კუდი, მაგრამ ნურც იმას გვიწყენენ, რომ მარტო ეშაკებისათვის ვერ მოვიცალოთ. საზოგადოთ „ნიშადურის“ მგოსნებს და ფილოსოფოსებს საკუთარი ხელით გამათრახებაც ეყოფა და კარგს იზამენ ჩვენ თუ ხშირ-ხშირათ არ მოგვაცდენენ ასეთი უსიამოვნო საქმისათვის.

ეშმაკი

დროების კაცი

შენი ჭირიმე, დროებავ,
გთლი, როგორც დანა ყველსაო,
შენი იმედით ცოცხალ ვარ,
ხშირ-ხშირათ ვილობმ ყელსაო!

თვეში ოც მანეთს მაძლევენ,
თუ კი გავანძრევ ხელსაო
და თითოს მაინც ჩავასმენ
ვისმე, სიმართლის მთქმელსაო.
მე ვინ მაჯობებს ხერხშია?
საქმეს გავჩარხავ ძნელსაო:
მტერს ისეთ საქმეს წავკიდებ,
რომ სულ ნატრობდეს მხსნელსაო.
და მხსნელათ მივალ ისევ მე,
თუ ვხედავ საფანელსაო,
ავიღებ რომ შეემატოს
ჩემ ჯიბეს ისეც სქელსაო.
შენი ჭირიმე, დროებავ,
გთლი და გთლი, როგორც ყველსაო,
შენ მაჭმევ პურსა ცოცხალსა,
არც მკვდარს ამიღებ ხელსაო.

ნ. ზომლეთელი.

ეშმაკის მოგზაურობა.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წამები საყვარელ ბათუმში გამიტარებია. ეს იყო მაშინ, როცა სამოთხეში ყოფნის დროს ჩვენზე განრისხდა მამა ღმერთი და ედემიდან ქვეყანაზე გადმოგვიძახა. მას შემდეგ აგერ რამდენი ხანი გადის და ბათუმი ჩემი გულიდან აღარ ამოდის. აი გუშინაც ფრთა გავშალე და იმას მივაშურე, რომ ერთხელ კიდევ დამეტკბო მისი ხილვით ტანჯული სული.

მაგრამ თქვენს მტერს, მე იქ გასაჭირი გადამხდა. ვერსად თავშესაფარი, ვერსად ღამის გასათევი ალაგი! ზოგს ჩემი ეშინოდა, ზოგისა მე. არც თუ ლონდონის სიეზდზე წასულ დელეგატებს მოხდომიათ ამდენი წოწიალი, რაიცა თქვენმა უმორჩილესმა მონამ განიცადა. ბოლოს ცარიელი და თავისუფალი აღმოჩნდა ბათუმის ქალაქის კასა; მუნ შეველ და დავბინავდი. თფილი და უდარდელ-უშიშარი ბინა თუ გნებავთ სწორეთ ეს არის. მშვენიერი სუფთა და მაგარი ოთახები, ათასგვარი ეშმაკური გასაღებებითა და ურდულებით. მყუდრო ბინამ მყუდრო ძილიც იცის და მეორე დილით საშინელ სურათს შევესწარი.

ვიღაცა შავწვერა და თეთრ თავიანმა ყმაწვილმა დაუკითხავათ გააღო ჩემი ოთახის კარები. შიგ ჩამოაყუდა რაღაცნაირი „ჯადოსნური კალეიდესკოპი“ და გულდასმით შეუდგა ოთახის სხვადასხვა კუნჭულთა გამოკვლევას. ასტრონომის უკან მოსამსახურეთა მთელი რიგი იდგა და გულის ფანცქალით მოელოდა ახალ აღმოჩენას.

უცებ ოთახის მარცხენა ყურეში შვიდი კაპიკი სპილენძის ფული და სამ კაპიკიანი მარკა აღმოჩნდა. მოსამსახურეთა სიხა-

რულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველას უნდოდა ჯამაგირი მიეღო, მაგრამ ეს ფული ნახევარსაც არას გახდებოდა. ქალაქის საბჭომ მყისვე იქონია ამის შესახებ მსჯელობა და ჟურულის წინადადებით გადასწყვიტა: უწინარეს ყოვლისა ახლათ აღმოჩენილი ფულებით დაკმაყოფილებულ იქმნან პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებლები. ფულის გასანაწილებლათ არჩეულ იქნა ცალკე კომისია.

ცოდვით გული ამიდუღდა, უფუღოთ დარჩენილ მსახურთა ხილვისაგან. საკუთარი ჯიბიდან ამოვიღე 18 კაპეიკი და, ოთახის მეორე კუნჭულში მივაწყე. ახლა უნდა უყუროთ ქალაქის თავისა და მოსამსახურეთა სიხარულს, როცა ტელესკოპით ამ ღიად თანხას აღმოაჩენენ; თითონ მე მოკლებული ვარ მათი ხილვის ბედნიერებას, რადგანაც

* * *

ამ დროს ქუთაისში გახლავარ, სადაც აუცილებლათ უნდა გავამათრახო „ცისკარის“ რედაქცია. ან კი მიბრძანეთ ღვთის გულისათვის არ ვემართლები გამათრახებას? საიდუმლოთ წერილი მივსწერე და ამათ კი ჯახრაკში გაუტარებიათ და საქვეყნოთ გაუხდიათ. ეს ისეთი საქმეა, რომელიც შეიძლება დიდი ზარალით გათავდეს და „ეშმაკის მათრახის“ მკითხველებმა ვერაოდეს იხილონ საოცნებო სახე იმათი, ვისი ხილვაც ასე ენატრებოდათ. გულმოსული შევიჭერ რედაქციაში, მაგრამ კარები დაკეტილი იყო, ხორც შესხმული არსება იქ არავითარი ყოფილა და ისევ უკან გამოვბრუნდი.

მშვიდობით ჩემო იმედო! ცხადზე უცხადესია დავით ნიკარაძე და ჩვენი დიდიმი თავის სურათებს მუმიასავით შეინახავდენ. ვგონებ ნიავსაც აღარ მიაკარებენ არა თუ ეშმაკის ხელებს. ყველა ეს კი „ცისკარის“ რედაქციის ბრალია. რით მიპირობენ ამ ზარალის ანაზღაურებას ჯერ-ჯერობით არ ვიცი და თუ რედაქციაში ვისმე მოვასწარი მაშინ მე ვიცი და ჩემმა მათრახის კუდმა.

* * *

ახლა კი ისევ ისა სჯობია კახეთისაკენ ვქნა პირი. ხაშმის „რევოლიუციონერ“ უკვე მორიგებით დასრულდა, მაგრამ კახელი გლეხკაცობა გასაოცარ „მხნეობას“ იჩენს ამ რეაქციის დროს.

ჩაქვავება, შემურვა და კეტებით ხალხის დაჭკიანება ჩვეულებრივი საქმეა საზოგადოთ კახეთისა და კერძოთ გარეთ კახეთის ცხოვრებაში. ასეთი საშვალებით კახელები ქურდებს აჭკვიანებენ და საჭიროა იცოდეთ, რომ აქ უმთავრეს ნაწილათ პირუტყვის ქურდობა სწარმოებს. ალბათ ამ გარემოებით აღფრთოვანებული თოხღიაურელი გლეხები დახვეოდენ ქურდებს და ძროხის ბარკლებს ურტყამდენ ცხვირ-პირში, ვიდრე ქურდი არ გამოტყდა თავისს დანაშაულობაში. მომეწონა ესე ლმობიერება.

* * *

მაგრამ არც თუ რესტორანი ტილიპუჭურას ხაზეინია ძრახვის ღირსი. გაჯიუტდა ბ-ნი ალექსანდრე და ჩინეთის ბოგდიხანი ჰგონია თავისი თავი. მასზე არ გასჭრა არც მოსამსახურეთა კავშირის წინადადებამ, არც ,,ხაზეინთა ბიუროს'' შუამდგომლობამ. ის მაინც თავისას გაიძახის: ,,ფეხებზე მკიდიხართ თქვენ ყველანიო''.

რაღა თქმა უნდა ბ-ნი მანკალოვის ფეხებს არავინ შეეხებოდა. მაგრამ მისი რესტორანი კი ,,ბოიკოტით'' გახლავთ ავათ და როდის განიკურნება ღმერთმა უწყის. ყოველ შემთხვევაში არა უადრეს თავისი ხაზეინისა.

ეშმაკი.

ასეთი კურიოზი!

— ასეთი კურიოზი მხოლოდ ქუთაისში შეიძლება მოხდეს, მხოლოდ ქუთაისში!..

ამბობდა აღელვებული მესტამბე ვარდამ ჯარხალაძე.

— რა ამბავია კაცო, რა კურიოზზე დაბარკავ? შეეკითხა სოფლიდან ჩამოსული მაქსიმე და ცნობის მოყვარეობით მოელოდა კურიოზის მოსმენას.

— არა მითხარი თუ ძმა ხარ: რა მუშების საქმეა მესტამბე ცოლს კაკვდებს თუ სახლში იეოლიებს? ესეც იმათ ეკონომიური მოთხოვნილებაში ხომ არ შედის. სწორეთ გადაირია ქვეყანა და ეს არის.

— არ იტყვი კაცო რა ამბავია?!

— როგორ რა ამბავია. დედაკაცი კაკვდა ემაწვილო, ჩემი ცოლი... არა მეთ.რხარი ამისთანა მაგალითი კანა ერთია და ორია? ნახეკარი კაცი არ ცხოვრობს თავის ცოლთან და ცოლი ქმართან. ვიდაცას შორაპანში კიდეც კაუთხოვია თავისი ცოლი და კაი ბიჭისთვისაც მიუცია. ჭო, დედაკაცი კაკვდა და ამბორდენ ბ-ნო მუშები

— როგორ, რა კვინდაო?

— უთუოთ უნდა დაბარუნო და შენთან აცხოვრო, მე ჯერ არ დუჯერე რასაკვირველია, მაგრამ ბოდოს კამეფიცენ და იძულებული გავხდი დედაკაცი ისევ ოჯახში ჩამოეუვანა. ახლა რასა კაკვს ეს თუ ძმა ხარ?

— დმერთმა დაიფაროს თორემ ასეთი წესები რომ სოფელში შემოვიდეს შენი მტერია ჩვენ ადარ კეეცხოვრება.

კრაკი.

სიზმრის ახსნა

საზოგადო.

1) **პესტალოცი იხილო პედაგოგთა შორის უბადლო, ლექსითა ქართულითა მოუბარი**—კეთილია: სიზმარი ესე ყოველთა ქამთა შინა აგიხდების კეთილად, რამეთუ მოასწავებს საუბარსა სურგულაძისა მის პეტრესა მიმართ, რომელი ყოველგან არს და აღავსებს ყოველთა ქმაწვილთა მადლითა თვისითა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

2) **კვერცხი იხილო ლაყე, სუნისა ავისა დამყენებელი**—ცუდია: ქამსა რომელსა სანახაობა ესე მოასწავებს თავსა ,,მგოსნისა'' მის სამყაროელისასა ცილის წამებითა შინა მოცულსა.

სხვათა ქამთა შინა სიზმრისა ამისა შემდეგ შეიძენთ კვირეულსა გაზეთსა ,,ნიშადურსა'', რომელისა ესეთ სურნელებასა არა აქვს დასასრულ.

3) **შაქარსა სჭამდე საძღლმათ და არა განიცდიდე სიტკბოებასა მისსა**—ავია: სიზმარი ესე მრავლად აბდების და ყოველთა ქამთა შინა მოასწავებს ქველმოქმედთა ჩვენთა კეთილთა დაპირებათა, რომელთა აღსრულებასა წინაურბოდეს აღსასრული სიცოცხლისა თქვენისა.

4) **ქუხილი ისმინო ძლიერი და წვიმა ვიდოდეს არარა.**—საცინელია: ქამსა ყოველსა და ქვეყანათა ყოველთა შინა სიზმარისა ზემორე თქმულისა ხილვა აბდების საცინლათ, რამეთუ მოასწავებს მუქარასა ,,ანარქო-კომუნისტთასა'', რომელნიცა უმეცრებასა თვისსა შინა მსხდომარენი განიზრახვიან არა თვისითა ,,სიკვდილითა სიკვდილისა დათრგუნვასა'', არამედ მოყვასთა თვისთა მოსპობითა ,,შანტაჟისა'' მის ძირიან აღმოფხვრასა.

ოჯურგეთისა წილ

5) **ნიკოკი ნახო, ბაზარსა შიგან მავალმა თავისა ქალა შეიფხანოს.**—ცვალებადია: ქამსა რომელსა სიზმარი ესე აბდების ავად. რამეთუ ნიშანი ესე მოასწავებს „სიგნალისა“ მოყმეთა მის ახლორე მავალთათვის, შეპყრობად მოყვასისა უცნობისა აგრეთვე ბაზარსა შიგან საკუთარისა საქმისა აღსრულებად ჩამოსულისა.

სხვათა ქამთა წილ: სანახაობა ესე არა მოასწავებს საფრთხესა არავითარსა, რამეთუ წარმოსდინდების რწყილთა მათ მოუსვენართა ქალასა ზედა თავისასა ხი-

ცინითა და ვნებასა საზოგადოებრივსა არარას მოიტანს.

6) დიმიტრი იხილო ბაზარსა შინა ოზურგეთისასა მავალი წვივებ'ა თვისისა ფხანის მოქმედი.—ავია: ჟამთა ყოველთა შინა სანახაობა ესე მოასწავებს სიგნალსა მუნჯურსა, ინგუშთა მათ თანაარს მისთა მავალთათვის, მსგავსათ ამბორის მაცხოვარისა ბაღსა მას გეთსემანიისასა, რამეთუ ინგუშთა მათ არა იცოდიან ენა ესე ტკბილ ხმოვანი ქართული ჩვენი და „სიგნალისა" ამითა გულის ხმად იქმოდიან შეპყრობასა ახლორე თვისთა მდგომისა მოყმისა უცნობისა და წარავლინებენ მას ტუსაღთა საყუდელსა, რომლისა გამსებასა არა აქვს დასასრულ.

ხიცინითა რწყილისა მოუსვენარისათა, სიზმარი ესე აროდეს აიხსნების, რამეთუ ნესტარი იგი საკბელი რწყილისა მკირედ და უგრძნობელ არს სქელისა ტყავისათვის რაინდისა ჩვენისა.



— უჰ .. უჰ... უჰ... ღმერთო მიშველე.

ქუთაისისა ფილ.

7) ჭილაძე ნახო ვარლამად წოდებული მუშათა მიმართ მოალერსე.—ავია: ჟამსა რომელსა სიზმარი ესე აგიხდეს უბრალოთ და შეეჩხირო კომისიასა მას არა საშენოსა, მოყვასთა თვისთა საგნებლათ.

სხვათა ჟამთა და გარემოებათა შინა სანახაობა ესე მუშათა წილ ახდების კვალად სიაეით, რამეთუ განიცდიან დეენასა ხაზეინთა თვისთაგან.

8) ჩარექოვი ნახო დიმიტრი დედა-მიწისა ტრიალის მტკიცებათ—კეთილია: ყოველთა ჟამთა შინა შეესწრა კამპანიასა კეთილსა და მიიღო სათრობელა იგი ჩარექებითა და არა ჭიქითა.

9) ვანო იხილო ჩაეკვეტაძე, ჯვარისა წერად განმზადილი—ავია: სიზმარისა ამისა ხილვა ქალწულთა მათ წილ ახდების ავად, რამეთუ ნიშნავს არაოდეს გათხოვებასა.



ეროვნული ტაძარი.

„ეროვნული" ტაძარი.

ქართლ-კახეთის აზნაურთა
,,ეროვნული'' საბუდარი,
,,ფიქრი-გორას'' გაღმა მხარეს
დიდებული სდგას ტაძარი.

პირს უმარულ შეცხებული
და მაღლობზე გადმომდგარი,
აბრიალებს ამაყ თვალებს
ახოვნებით შეუდარი.

ვერის ბაღებს გადაჰყურებს
სად თავადთა ვლიან დღენი;
მუნით ესმის ზურნის ჰანგი
აროდეს ჟამს მოსაწყენი.

დასავლეთის გრილი სიო
მუდამ უქრის, უქირჭილებს
და შუბლს მზისგან განაწრთობსა
დაუამებს, გაუგრილებს.

სდგას ტაძარი დიდებული
ცაში გუმბათ ამართული,
დიდი ,,ბუდდას'' ქანდაკება
თავზე აზის ფეხ-მორთხმული.

მისი სახე ლმობიერი,
უანგარო, ფაქიზ-წმინდა,
სულ რომ გედგას თვალთ წინაშე
ვერ გასძღები, მაინც გინდა.

ხელთ უპყრია ვით მაცხოვარს
სამყაროის ბურთი ორი!
ეს სიმბოლო ერთობისა
ერთმანეთის თანასწორი.

მას ჭაბუკი საოცნებო,
ახოვნებით ალვა რგული,
თითქმის მხრებზე შესდგომია
მრისხანე და წარგ-შეკრული.

ვით მფარველი ანგელოზი
ტაძარს ნიავს არ აკარებს,
,,თოხლის თავა მუშტებითა“
მტერს აროდეს გაახარებს.
ამბობს; ,,სახლი მამა-ჩემის
თქვენ სავაჭროთ გადგვიქციეთ,
დიდი საქმე ,,ეროვნული‘‘
დაჭქოლეთ და დაგვიქციეთ.
შეგვილახეთ წმინდა გრძნობა
და მამულის სიყვარული!
სწავლა-აღზრდის საქმეშიაც
გაამეფეთ მხოლოდ ფული.
მე კი სხვა ვარ, სულ სხვა მუშა
აზრით სუფთა, გულით წრფელი;
200 მანეთს თვეში ვიღებ,
ეს არც არის აქ სათქმელი
მე მძაგს ოქრო, ქვეყნის კერპი!
მე მძაგს ვერცხლი! მე მძაგს კუპი!
მე ცოცხალ ვარ იდეალით!!!
სხვა ყოველი არის ფუჭი.
მაშ, შორს ჩვენგან უმადურნო
თქვენ ამ ტაძრის არ ხართ ღირსი.
თქვენ არა გწამთ არც წარსული,
არც აწმყო და არც მერმისი“.
და ასე ის მედიდური
ტაძრის თავზე მედგრათ ბჭობდა
და აზრებით უბადრუკსა
ეგონა რომ ვაჟკაცობდა.
დიდი „ბუდდას“ ქანდაკება
ყურს უგდებდა მედგარ ბრძოლას,
მისი მცველი ანგელოზის
საოცნებო აზრთა ქროლას.

ეშმაკი.



— ჰმ... ჰმ... ჰმ... რაც იქნება მივალ ახლო.

ᲔᲠᲔᲡᲘᲐ.

„ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ“ ᲙᲠᲐᲙᲐᲓᲘᲚᲘ

გაზეთ „ისარის“ მე 222 ნომერში ერთი ქართველი კრაკადილი ბ-ნი მ. ად—ლი, კვალად აცრემლდა ცრემლითა თვისითა. ჩვენ ძლიერ მოგვწონს მისი ასეთი ჭირისუფლობა. არა თუ ეს ხანგრძლივი ცრემლთა დენა ქართველი კრაკადილისა მოგვწონს, პირ-იქით ისიც გვიკვირს და ათასჯერ გვიკვირს თუ რატომ სავსებით არ აღადგენენ ჩვენი წარსულის მოტრფიალენი წინაპართა ჩვენთა ჩვეულებასა და თავთა ზედა თვისთა ნაცრისა დაყრით არა ამცნობენ ქვეყნიერებას, თუ რაოდენ დიდსა მწუხარებასა განიცდიან გულნი მათნი.

ან შეიძლება ნაცრისა წილ ლაფითა სურთ უკიდურესი მწუხარების აღნიშვნა? თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ არა გვეთქმის რა, ვინაიდან ესე უკანასკნელი სამკაული არ აკლია თავთა მათთა.

ან თუ რატომ წვერს არ მოუშვებენ გლოვისა ნიშნად და ძაძითა შავითა არა შეიმოსებიან. მიკვირს და მიკვირს დაუსრულებლათ.

არ მიკვირს მხოლოდ ის, როდესაც ეროვნული კრაკადილი ბ-ნი მ. ად—ლი, **ჩვენ ილიას ხსოვნის სასაცილოთ აგდებას გვწამებს.** არ გვიკვირს იმიტომ, რომ ეს საშვალებაა თავისი ფარისეველური ცრემლების ფას დასადებათ. ჩვენ შევარცხვენდით ბ-ნ კრაკადილს, რომ მისი შუბლი სირცხვილს ვრძნობდეს და მოვსთხოვდით ერთი ეჩვენებია: სად აიგდო ქართულმა არა ფედერალისტურმა სახუმარო გაზეთმა სასაცილოთ განსვენებული ილიას ხსოვნა. ან შეიძლება ქართველ კრაკადილს ილიას ხსოვნის შეურაცხყოფათ მიაჩნია ჩვენი შენიშვნები ზოგიერთ უნიჭო მელექსეთა მიმართ, რომელნიც ათას გვარ ცილის წამებით და მძულვარებით აღსავსე სისულელეს, ილიას გლოვით მიფარებულს, უხვად აფრქვევენ „ნიშადურის“ ფურცლებზე? ვინ იცის კრაკადილის გლოვა იქნებ იქამდეც მივიდა, რომ გლოვის საფანელში გამოხვეული სისულელე და მძულვარება კეთილ-შობილურ გრძნობებათ ეჩვენება.

მაგრამ რა ჩვენი საქმეა ისეთი კრაკადილის მორჯულება, როგორიც ბ-ნი ად-ლი ბრძანდება: ის თავისი ად-ლით ზომავს გლოვის ხარისხს და ვერ წარმოუდგენია უბადრუკს, თუ გარეშე კრაკადილის ცრემლებისა და თავზე ნაცრის დაყრისა შეიძლება გლოვა.

ᲟᲐᲙᲔᲠᲘᲐ.

,,ავანგარდის‘‘ გამოცემა
,,განცხადება ჟაკერია‘‘
ვინც კი ენახე ანარქისტი,
ყველას პირზე აკერია.
ნეტავ რაა ეს ფურცელი...
წავიკითხოთ რა სწერია,
იქნებ ახლაც, როგორც ძველათ
საიმისო აფერია!!

მაგრამ არა... სულ სხვაგვარი
გამოგვადგა ეს ფურცელი:
აქ, ერთმანეთს არიგებენ,
რომ აღაღონ ძარცვას ხელი!..
საბოლოოთ გამოირკვა,
რომ ყოფილან უმადურნი
და შინტაფსა იქმოდიან
არა მარტო „იდეურნი“.
დღეიდან-კი ვინც გაჰბედავს
და მოჰკიდებს კალამს ხელსა,
იცოდეს, რომ ვერ ასცდება
საზიფათო განსაცდელსა.
სიკვდილი მას, ვინც ბლანკებით
მოაგროვებს აწი ფულსა
შინაგანს და გარეგანსა
განუგმირავს ტყვია გულსა.

ჰო, ჰო ჰო...

— ოჰ... ძლივს.. მოდით, მოდით კეთილ მორწმუნენო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

ძმაო ეშმაკო! გწერ ამ საეურადღებო ცნობებს გურიის ,,მეკრთამეთა ბიუროს‘‘ ცხოვრებიდან. ამ დაწესებულებას ადგილ-დროიდან ჭქონდა ფესვები ჩვენში და მოქმედ პირთაგანაც საუკეთესო შოდვწეები ჭეკედ, მაგრამ ახლა მისი ძალიერება უმადლეს წერტილამდე ავიდა. ბიუროს წევრების უკანასკნელი კრებაც ამისი თავდებია. ეი ამისი სამოქმედო შუხლები:

1—„მეკრთამეთა ბიუროს“ აზრათა აქვს თავისი წევრების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა.

2—ბიუროს დამფუძნებელ წევრებათ ითვლებიან ბობოლა და გავლენიანი მოხელეები, ხოლო მონაწილეთ, ანუ „მორჩილებათ“ ობერ-შპიონები ყოველი წრისა, და წოდებისა

3—რაოდენობა ქრთამისა: „მორჩილთათვის“ არა უმეტეს 15 მანეთისა, ხოლო დამფუძნებელ წევრთათვის, ზემორე ამისა განუზომელათ.

4—საშვალება ქრთამის აღებისა ორგვარია: ა) „მორჩილთა“ მაპანკლობით და ბ) დამფუძნებელ წევრებთა პირდაპირ დამოკიდებულებით. ეს უკანასკნელი შეუძლიათ მხოლოდ კეთილ-შობილ გვამებს: ენაკვნებს, ენეიებს, ენიაბებს, აბნაურებს და მდიდარ ვაჭრებს.

5—სასტიკათ დაცულ იქნას ბიუროს წევრთა ვინაობა, „წითელი ხაურთბის“ თავიდან ასაცდენათ.

6—ვინც ქრთამის გადახდას გამოაშაარავებს, კვალად დაჭერილ იქნას თუ კი მეოხებითა მისითა

განთავისუფლებულ იქმნა და მიეცეს მასსაკი ჩექმებითა და მათრახებითა.

7—აგენტებისაგან აღებული ფული უნდა გადაეცეს დანიშნულებისამებრ, და ვინც მასიკოსავით უქმს „კუკუ-მალიასა“, წევრობისაგან განირიცხოს პანღურით ჯილდო ღებული.

8—მოეთხოვოს შემოქმედურებს სულზე 50 მანეთი, ხოლო ასკანელებს სულზე 15 მანეთი.

ჯერ ჯერობით ესეც კმარა ჩვენი ბიუროს დასახსნაოებლად და შემდეგი მათი შოქმედებაც არ დაეორნებს თქვენს რედაქციაში მოფრენას.

პატივისცემით კლავა.

ქართველი მოღვაწეები.

(ცნობები ზ. ჯიჯინაძისა).

„აკაკი წერეთელი, მოგეხსენებათ, დიდის წერეთლიანთ გვარის ჩამომავალია; ამათ გვარს და მოდგმას ეკუთნიან ზურაბ წერეთელი, ნესტორ წერეთელი, მამა პოეტისა როსტომ წერეთელი და მრავალიც სხვა პირები, რომელნიც ოდესმე დამშვენებენ იმერეთის ერის ისტორიას, თუ ეს ისტორია დაიწერა და ეს პირებიც მოექცენ შიგ“.

„აკაკიმ ჯერეთ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაიწყო და მერმე რუსეთს წავიდა. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ცოლი შეირთო და თავისი ქვეყნის ერის საქმეებს ემსახურება; კერძო და სახელმწიფო სამსახურში არ ყოფილა“.

„დიდი და მრისხანე როსტომ წერეთლის შვილი ქართველი მგოსანი გამოვიდა, იმ ოჯახის შვილი, რომელთა გვართა ოჯახზედაც ძლიერ ბევრი ცოდვა ტრიალებს; მათის მეოხებითა საწერეთლოს გლეხკაცები სასტიკათ იდევნებოდენ, იჩაგრებოდენ და იტანჯებოდენ“.

„ამ ხანებში თავადებს ფული შემოაკლდათ; ფულისთვის გლეხებს მიმართეს და დაიწყეს მათზე მამულების ყიდვა ნაჭერ-ნაჭერ“.

„ასეთ გამსყიდველ პირთა რიცხვში უნდა მოჰყვეს აკაკი წერეთელიც; როგორც შევიტყე, ამისგან ძლიერ ბევრს გლეხს უყიდნია მიწა მამული და დღეს მესაკუთრეთ გამხდარა, დღეს იგი თურმე წელში გაშლილა და ცოლ-შვილითაც სიხარულს მისცემია“.

„აკაკი, როგორც კარგათ მცნობი ქართველის უმიწა-წყლო გლეხის ცხოვრებისა სამართლიერათ მოიქცა და სხვებსაც მცნებათ დაუტოვა ასევე მოახერხონ და თავიანთი მამულების ერთი ნაწილი თავიანთს ნაყმევს უმიწა-წყლო გლეხებს მიჰყიდონ“*).

აკაკი წერეთელი.

„აკაკი ცხოვრებაში ბევრნაირათ იქნა ახვეწილ-დახვეწილი და ხშირათ ისეთი გაჭირვება ჰქონია, რომ მეავე კიტრით, ხაშით და ცხვრის თავით იკვებებოდა; ისიც ერთ დღეს და ერთ კვირას კი არა, არამედ მთელს თვეებს“.

„პირველი ლექსი მგოსანმა „ცისკარში“ მოათავსა 1858 წელს“. შემდეგ „დროებაში“, „მნათობში“, „შრომაში“, „იმედში“, „ივერიაში“, „თეატრში“, „ჯეჯილში“ და „კვალში“.

„დღეს ჩვენს მწერლობაში აკაკის შუქმოსილი ალაგი უკავია. იგი არა თუ მარტოთ ქართულს მწერლობაში, არამედ დღეს მისი ცალი რუსეთშიაც არავინ არის რუსთაგანი, ეს მაღლა სდგას ყველა მათს ძველსა და ახალს მგოსნებზე, ამის გვერდით მათ მგოსნებიდან ჩვენ ვერავის ამოვუყენებთ. აკაკი რომ რუსათ დაბადებულიყო, დღეს იგი იქნებოდა მათი დიდება, მათი სიამაყე, ამისთვის მგონი სიცოცხლეშივე დაედგათ ძეგლი, რადგანაც ეს მათთვის მოუყვანელი მოვდენა იქნებოდა“ (კურსივი ჩვენია).

„რაც აკაკის შესახებ ქართველ მელექსეებისაგან ქებათ ლექსი დაწერილა, ყველა ერთათ რომ შეიკრიბოს და დაიბეჭდოს იგი რამდენიმე ტომი გამოვა“.

„აკაკი ძალიან ელტვის და ეტრფიალება ჭეშმარიტებას და სიმართლეს, ნამეტურ თანასწორობას. იმისთვის სულ ერთია თავადი, აზნაური და გლეხი“.

„ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში თავად-აზნაურთა კრება იყო და ერთხმათ გადასწყვიტეს აკაკის წლიური ულუფა დაენიშნოსო, მაგრამ მიცემით კი არავინ არაფერი მისცა“.

„აკაკს ჩვენს ძველ მხარეებზე კაი შეხედულობა აქვს, ისევე ქართველ ქალებზე და უფრო უპირატესათ მიაჩნია ძველი ქართველი ქალები“.

„ამ ოცნებით გატაცებულმა მგოსანმა ერთხელ დიდი შეცდომა დაუშო. მცხეთაში ასაფლავებდენ ერთ ძველ გვამს, რომელი გვამიც რომა გამაძღარი იყო ქართველ გლეხების სისხლით. ამ სისხლის მსმელის დასაფლავებამ გაიტაცა მრავალნი გვამნი ქართველთა, რომელნიც მიპატიჟებულნი იყვენ ჭირისუფალთაგან. აკაკიმ წარმოსთქვა, რომ ეს არის უკანასკნელი წარჩინებული დედა ქართველთა, რომელიც დღეს მიწას ეფარებაო“.

„გარდა ამისა აკაკი ისეთი პირია, რომ ვინც უნდა დაპატიჟოს ყველას ეწვევა, არავის აწყენინებს“.

„აკაკი ხშირათ ჭორებსაც უჯერის. 1885 წელს, ზოგიერთმა მეჭორე პირებმა აკაკის მიუტანეს ამბავი, ვითომც ჰ. ცალელი და მე (ზ. ჭ.) ფულს ვაგროვებთ, ამ ფულით ვიღაცა მეფეს ქირაობას ვაპირობთ, რომ აკაკი მოვკლათ. ამ ჭორმა ერთი აურ-ზაური ასტეხა“.

„ვიდრე აკაკი ხნიერი არ იყო, ტანისამოსს უბრალო ფასისას ატარებდა, მაგრამ სუფთას; ტანთსაცმელს ხომ გავლენა აქვს და იგი მგოსანს უახლოებს უმრავლესობას“.

„ჭამა-სმაში და ასეთ საქმეებში აკაკი არ არის მაინცა და მაინც უზომო“.

*) ეს დიდებული დავალება თავადებისა, როცა მათ ფულები აკლიათ გლეხებს მიყიდონ თავისი მამულის ნაწილი და ამით „წელში გაშალონ“ ისინი ამ ბოლო ხანებში აღარ ისურვეს „ქართველმა მდაბიოებმა“ და იმ ზომ გაკადნიერდენ, რომ განაცხადეს: „მამული ჩვენია და რისთვის უნდა ვიყიდოთო“.

კ.ი.

,,აკაკი ქართველების მეცხრამეტე საუკუნის შოთა რუსთაველია''.

ზ. ჭ.

მკითხველის საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ზაქ. ჭიჭინაძე საშინელი მცოდნეა ძველი ქართულისა და რაც ზემოთ მოვიყვანეთ ყველაფერი მისი წიგნიდან არის ამოღებული სიტყვა სიტყვით. ეს წიგნი გამოცემულია 1897 წელს, ასე რომ აკაკის ბოლონდელი მოღვაწეობა მასში არ არის აღნუსხული, თუმცა წინანდელიც ზაქარიასებურად არის დალაგებული.

დღევანდელ მოძრაობას აკაკი თანაუგრძნობს, თუმცა ხანდისხან აქაც მოიკოჭლებს. ყოველ შემთხვევაში ის თავის ტოლებში ყველაზე მეტი თანამგრძნობია.

ამ ბოლო ხანებში მწერლობას თითქმის სრულიად ჩამოეცალა. უკანასკნელათ ,,ხუმარაში'' მუშაობდა, რომლის გულისთვინაც ამ სიბერის დროს ძასაც აჩვენეს მეტეხის ცივი კედლები.

აკაკი დუმის არჩევნებშიაც ერევა და წელს საჩხერის მემამულეებმა ,,ვიბორშჩიკათ'' აირჩიეს. დეპუტატობა, როგორც ვფიქრობთ მას არც შეშვენის და არც მოუწევს, თუ საარჩევნო კანონები სულ თავდაყირა არ დააყენეს.

უცხო სიტყვების ახსნა

(იხილე „შურდული" № 3)

ყამი—ბურჟუაზიული საშუალება ღარიბთა თავიდან მოსაშორებლათ.

ულეტა—პატრიოტული ომი.

ურუანტელი — ჯაშუშ-პოლიციელების დანახვა.

ყუილი—გადამდები ავადმყოფობა, რომელიც მეცნიერების გამოკვლევით პოლიციაში ყოფნის შემდეგ ემართება ადამიანს.

რახა-რუხი—,,ისარ'' ,,ნიშადურის'' მოწინავე წერილები.

რბევა—ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

რეგვენი—ბიუროკრატიულათ მომწიფებული ადამიანი.

რეტი—კანცელარიაში 30 წლის დამსახურებული ჩინოვნიკი.

რყევა.—კადეტების ტაქტიკა.

რწმენა—საქანქარო საქონელი, რაიცა ადვილათ გაიყიდების.

რწყევა—,,ბოსია,ყური'' დამთქნარება.

რჯული—ბურჟუაზიული თოკ...

სააქაო—ჯოჯოხეთი.

საბალახე—ერ-თგვარი ხაფანგია, რომელსაც მშიერი თავად-აზნაურობა ხმარობს შინაური ფრინველების და ოთხფეხი ცხოველების დასაჭერათ. როცა მშიერ აზნაურს ქათმის ან ცხვრის ხორცი მოენატრება საბალახოზე გადის.

საგმირო—საქმე საგმირო დღეს თავდასხმა და ძარცვა-გლეჯაა.

საბუდარი—კეთილ ცხოვრებას მიჩვეულ ადამიანთა საყუდელი.

სადგური—სამხედრო ბანაკი.

სადღვებელი—სასულიერო სასწავლებელი.

საეშმაკო—ეშმაკის მათრახის სასეირნო ალაგი.

სავაჭრო—ტყუილების სათავე.

საზიზღარი—ჩინ-ორდენებით დაჯილდოებულ-დამსახურებული ადამიანი.

საზურგე—კეტი და მათრახი.

სათაყვანო—ძირითადი კანონები.

სათუთი—ბურჟუა ინტელიგენტი.

საიქიო—შორეული ციმბირი.

საკრებულო—,,საქმოთა თავშესაქცევი ალაგი.

სალაგმე—სალაგმე კბილი, ე. ი. ბოქაული.

სალხინო—ჩოხოსნების გასართობი ალაგი.

სამართალი—დახვრეტა, ჩამოხრჩობა, პაგრომები და ცემა-ტყეპა. ე. ი. სამართალი ჩქარი და სწორი.

სამარე—რუსეთის მოქალაქის მოსასვენებელი ალაგი.

სამზრუნველო—ისეთი დაწესებულება, სადაც მზრუნველები მხოლოდ თავისთვის ზრუნავენ.

სამრევლო—სკოლა, ე. ი. ყრმათა ტვინის გამოსალაყებელი ალაგი.

სამსონ—მოცლილი მწერალი.

სამუშაო—მუშის სიზმარი.

სამყარო—ფრთებშესხმულ პოეტის საოცნებო ასპარეზი.

სამშვიდობო—ისეთი თავშესაფარი, სადაც რუსეთის მოქალაქის ხელშეუხებლობა დაცულ იქნება, ე. ი. კუბო.

სამშობლო—დასაძინებელი წამალი.

საპატიმრო—უფასო ოთახი.

სარგებელი—სულის ამოსახდელი მანქანა.

სასაფლაო—გლეხების გადასასახლებელი ალაგი.

სასმელი—მუზის მოსაფრენი საშუალება.

ქაჯი.

(შემდეგი იქნება)

დეპეშები.

ჟუთაისი. ქალაქის კასას შვიდი შეიარაღებული ვირთხა დასცემია. მძიმეთ დაუჭრიათ საქმის ქაღალდები და ვექსილის ბლანკები. ბოროტ-მომქმედნი იძულებულ გახდენ უკუქცეულიყვენ უფულოთ, ვინაიდან ამის მაგვარი კასაში კარგა ხანია არაფერი მოიპოვება.

ჭიათურა. თფილისიდან ჩამოსულმა ქართული დრ. დასის კომიკებმა შესანიშნავად წარმოადგინეს იბსენის დრამა ბრანდი. ხალხის სიცილ-ხარხარს ბოლო არ უჩანდა.

ბათუმი. ქუთაისის კასის ამბავი რომ აქაც არ გამეორდეს განკარგულება გამოიცა კასიდან გაიტანონ საქმის ქაღალდები, ხოლო რაიცა შეეხება ფულებს, ამ მხრით დიდი ხანია მარხულობს ჩვენი კასა.

ჭიათურა. ახლო მომავალში მოელიან ,,ეშმაკის მათრახს'' ერმილე თაყაიშვილისა და ილიკო ბახტაძის ,,პატიესაცემლათ''.

ქვემო სვანეთი. ახლად გარდაცვალებულ ქელიშბეგ გარდაფხაძეს ანდერძათ დაუტოვებია: ჩემს ნათესავ შამშე გელოვანთან ერთათ დამასაფლავეთო.

ამის გაგონებაზე განსვენებული გელოვანი სამარეში გადაბრუნებულა.

რ უ ს ე თ ი.

მოსკოვი. ყველა ადგილობრივ ეკლესიებში გადახდილ იქნა სამშვიდობო პარაკლისი პურიშკევიჩის „ვიბორშჩიკათ" არჩევისა გამო,

კიშინიევი. კრუშევანი გულის ფანცქალით მოელოდა ხოლერას, რომ მი. ცვალებულთ რიცხვის გადიდებით თავისი კანდიდატურის გაყვანა უზრუნველ ეყო. იმედი აუსრულდა.

უ ც ხ ო ე თ ი.

თეირანი. რუსეთის ელჩმა პროტესტი განუცხადა შაჰს, კონსტიტუციაზე ხელის მოწერისათვის და ამასთანავე ურჩია წესიერების აღსადგენათ რუსეთის მაგალითით იხელმძღვანელოს.

ვენა. იმპერატორი იოსები სრულიად გამოკეთდა: მადა 90 გრადუსი აქვს სიცხე ჩინებული, პულსი საათში 17; აციებს დღეში ათჯერ. ექიმები იმედს იძლევიან, რომ თუ სენი გაივლის საშიში აღარაფერი იქნება.

პარიზი. მინისტრები ფრიად კარგს გუნებაზე არიან, რადგან მოროკოში გაგზავნილი რაზმი ჩინებულათ ასრულებს თავისს **ცივილიზატორულ** მისიას ადგილობრივ მკვიდრთა განათლების შესახებ. მართლაც ცეცხლ-გაჩენილი სოფელ-ქალაქებისაგან მთელი მხარე განათებულია.

განცხადებანი.

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ფედერალისტების სვინდისი,

რასაც რედაქცია ,,ისარი'' გულითადის მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებს.

კონკის მოლოდინში ქირავდება ოთახები!

სახალხო თეატრი.

ხვალ 14 ოქტომბერს გაიმართება კონცერტი შემდეგი პროგრამით:

1. **ხალხის ხოჯო:**

ახ, დრონი, დრონი, ნაქებნი მტკაბარად,
წარვიდენ გაჰქრენ სიზმარებრ ჩქარათ.

2. **„ადეტები"**

„დაღმართ-დაღმართ წამოვედით ჩქარ-ჩქარა,
ხრამში ჩაველო, ნუ თუ ესეც არ კმარა?!

3. **ფედერალისტები:**

ოხ, ხალხო, ხალხო! როგორ გეჩვენოთ?!
რომ შენ მეგობრათ ჩვენ მოგეჩვენოთ?!
გვითხარ: თვალები რით აგიხვიოთ,
რომ დეპუტატათ ჩვენ აგვირჩიოთ?!
თუმც „ბოიკოტი" გამოვაცხადეთ,
მაგრამ ჩუმ-ჩუმათ ბერსა ვეცადეთ...
თუ ფონს ვერ გავალთ, არ გვიდევ ბრალი:
მოგწამლათ „ეს-დემ" დაგიდგათ თვალი".

4. **„Baton"-ი.**

„ჯერაც არ სჩანან „ამერ-იმერნი"
ოხ, ღმერთო ჩემო მთლად გადვირევი!"
ხალხის მაგივრათ მოგვაწვა ეხოლოდ
თავად-ბერეულს ზუმპე-მორევი.
წავიდე სადმე გადავიკუნქო,
რომ სირცხვილისგან არ მავიკუმო!"

5. **გუნია:**

ვლესავ და ვლესავ მე „ნიშადურსა",
მაგრამ ვერ ვხედავთ მისკენ დაგულსა!"

დეპეშები.

ოდესა. აქაურ გენერალ-გუბერნატორს შემდეგი შინაარსის ტელეგრამმა მოუვიდა სტოლიპინისაგან: „ცოტა ხნით შეაჩერეთ ,,პაგრომები'' ჯერ-ჯერობით საჭირო არ არი.

პეტერბურგი. პრემიერ მინისტრს მისდის და მისდის მუჭარის წერილები დუბროვინისაგან: ,,ახლა... ა, ახლა ალარ გინდიგართ, როცა ზურგი გაიმაგრეთო?! მოიცადეთ, კიდევ დაგჭირდებათ ჩვენი თავი! „не плюй въ колодецъ, пригодится воды напиться!"

საიქიოდან. გრინგმუტი იტყობინება: ,,ინოროდცებით სავსეა აქაურობა, საჭიროა, ,,აბრუსენიე''—ბეშმარიტი რუსები ბლომათ გამოგზავნეთ''.

ნ. აზიანი.

რუზველტი:—გაჩერდით თქვენ ოხრებო ჰაგის კონფერენციის გათავებამდე როგორმე და მერე თუ გინდათ შეებმეთ ერთმანეთი.

„ალოკვის" ტაქტიკა.

ერთი ქართველი ,,მხედარი'' დიდებულ ოქტომბრის დღეებში მრავალ-რიცხოვან ხალხს დაჭიოდა მადლიდან:

,,ამხანაგებო! მთავრობამ ვითომ გაგმოგვიდო რადაც თავისუფლება, მაგრამ აი დღეს თითონვე ცდილობს ალოკოს თავისი ფურთხიო''.

ეს იყო მას ჟამსა შინა, ხალხი დდეანდელი ,,ალოკვის'' ტაქტიკა ,,ნიშადურის'' მიერ მწერლობაში შემოდებული, სულ სხვა გვარია. ბატონებულმა და ,,კალამბურებით'' მოსაუბრე რედაქცია ისეთ ნახტომებსა შვება და ისე უზომოთ იფურთხება, რომ ზოგჯერ კეთილ მორწმუნე „ბუშმარიტი" ქართველებიც კი მოჭეყვს გოცებაში. დაუზოგველია გაბადფურთხებაში, მაგრამ თუ დასწყრა ერეკ ალოკვის დერიდებს.

მაგალითი 1. „ნიშადურის" № 6 ბ ნმა რიგოლეტომ ბატარა ლექსი დასწერა **ქართველ ანარქირსტ კომუნისტებზე,** სადაც სხვათა შორის ანარქისტი ამბობდა:

„ფეხქვეშ გავთელე ევროპა
გერმანია საფრანგეთიო"

—

„სხვის ჯიბეში ხელს რომ ეურევ
მიტომა ვარ კომუნისტი"

—

„გოშიებს რომ დავეგზავნით
მას უპირავთ ხელში ლისტი",

„და როცა კი ხელს მოვიგდებთ
სხვის ჯიბიდან ერთ ორ გროშსა
მკლავს მკლავს მადახვეულნი
მივაშურებთ „პალერმოსა"

„მეშეგო და გლეხნო კაცნო,
„ამხანაგნო მონებისა"

და სხვა ამგვარი ავტორის შესაფერი ცნობები. პირველი სტრიქონიდან ცხადათ სჩანს, რომ ავტორს სხვაში ეცხოეთიდან დაბრუნებული ანარქისტები ეკვს, ხოლო უკანასკნელი ორი სტრიქონი ცხად-ყოფს რომ ის გულისხმობს „ცნობილი" ფურცლის ავტორებს. ესეც რომ არ იყოს და ავტორს გაანსაზღვრული პირები და ნამდვილი ანარქისტები არ ეკვდეს სახეში, მაშინ ის დექსის სათაურს, ან სიტყვას ანარქისტს ფრჩხილებში ჩასვამდა, მაგრამ ,,ნიშადურის'' გმირების ხათაბალაც ი'ში მდგომარეობს, რომ ისინი სწორეთ თავის რედაქციაში და ისიც გადაფურთხების დროს არიან გმირები.

როდესაც ჩვენს „აქლემებს მისტეხეს, შეუცაცხანეს, სპბრალინი მოიკაკვენ და თავისი ბადანაფურთხი რედაქციის პირით ალოკეს.

,,ნიშადურის'' მე-8 ნომერი აცხადებს: ,,სიზოგადოებაში ხმა გავრცელდა, ვითომც ,,ნიშადურის'' № 6 დაბეჭდილი ბამფლეტი ,,ქართ. ანარ. კომ.'' მიმართული იყოს იდეურ ანარქისტებზე. ჩვენ ამით ვამოწმებთ, რომ ეს შეეხება უბრალო ქურდ-ბაცაცებსო".

„იდეური" ანარქისტები ალბათ თითონ ბრძანდებიან ამ „ბამფლეტის" ავტორები!

მაგრამ საკვირველია თქვენმა მზემ ასე უსირცხვილოთ ჯერ ერთი გაფურთხება და მერმე მისი ალოკვა.

,,ნიშადურედი'' მეოსნებისა და სატირიკოსების ენაზე ეს ნიშნავს ,,კალამბურებიო'' წერას.

ღმერთმა ხედი მოუმართოს!!!

№

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

ბეჭდება და მალე გამოვა სახალხო ქართული

კედლის კალენდარი

„შრომის" სტამბის გამოცემა

კალენდარში მოთავსებული იქნება საუკეთესო ცნობები თანამედროვე ცხოვრებიდან, დაიბეჭდება მოზრდილი ფორმატისა ორის კრასკით და ეღირება 35 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზე ან ფასდადებით გამოიწერს არა ნაკლებ ასი ცალისა დაეთმობა 20%, საზოგადოდ აგენტებსა და პარტიით მყიდველებს ეთმობა 15%.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Товарищества „Трудъ" для Календаря.